

კულტურის სფეროს გამოწვევები ეკონომიკურ ჭრილში - მაკა დვალისვილი მოდერატორი,
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები, კულტურა და ეკონომიკა,
შემოქმედებითი ეკონომიკა

შემოქმედებითი სფეროს ეკონომიკურ ჭრილში განხილვა ახალი მოვლენაა არამართო საქართველოსთვის არამედ ევროპისთვისაც და იგი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდება. შემოქმედებითი კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთქმედებით იქმნება კულტურული შემოქმედებითი ინდუსტრია, რომელიც განიხილება როგორც ეკონომიკური პროდუქტი.

იმის საჩვენებლად თუ რამდენად მომგებიანი შეიძლება იყოს კულტურა სწორი მართვის და სწორად წარმართვის შემთხვევაში დავასახელებთ რამდენიმე ციფრს.

კვლევები უჩვენებს რომ ევროპაში კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების წლიური შემოსავალია 535.9 მილიარდი ევრო, რაც შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 4.2%-ს. მოცემული სექტორი იკავებს მესამე ადგილს მსხვილი დამსაქმებლების რიგში, ისეთი სექტორების შემდეგ, როგორცაა მშენებლობა და კვების პროდუქტი და სასმელი - ბარები და რესტორნები.

2012 წელს ყველაზე მსხვილი საქმიანობის სფეროები იყო :სახვითი ხელოვნება -127 მილიარდი ევრო; რეკლამა - 93 მილიარდი ევრო; ტელევიზია - 90 მილიარდი ევრო; გამომცელობა - გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოცემის საერთო შემოსავალი შეადგენდა 107 მილიარდ ევროს.

გაერთიანებული სამეფოს შემოქმედებითმა ინდუსტრიებმა 2012 წ. ქვეყნის ეკონომიკაში 71.4 მილიარდი ფუნტი შეიტანა, ხოლო 2014 წ. ამ რიცხვმა - 84.1 მილიარდ ფუნტს მიაღწია. უზრუნველყო 1.68 მილიონი სამუშაო ადგილი, ბოლო შეფასების მიხედვით დასაქმება 1.9 მილიონ სამუშაო ადგილამდე გაიზარდა. ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის

ზრდა შეადგენს 8,6% წელიწადში. ხელოვნებაში და კულტურაში ჩადებული ყოველი ფუნტი ქმნის დამატებით 1.06 ფუნტს ეკონომიკაში.

ეს მონაცემები არაჩვეულებრივად უჩვენებს იმას რომ ეს დარგი სწორად წარმართვის შემთხვევაში იქნება ძალიან მომგებიანი ეკონომიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა ეს უჩვენებს რომ კულტურა არ არის ის დარგი რომელიც ასე მნიშვნელოვნად უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე, თუმცა რა თქმა უნდა ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს არ ნიშნავს რომ კულტურა სრულად თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდეს, პირიქით სახელმწიფო ყოველთვის დიდ თანხებს გაიღებს ამ სფეროს განვითარებისათვის.

CCI-ს როლის და სპეციფიკის გაგება პოლიტიკოსების მიერ, გრძელვადიანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან წარმოადგენს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების და მთლიანად შემოქმედებითი ეკონომიკის ინვესტირების და მხარდაჭერის ძირითად ასპექტებს. CCI-ს წარმომადგენლებისთვის მთავარ გამოწვევად და სირთულედ რჩება ფინანსების ხელმისაწვდომობა.

კიდევ ერთი გამოწვევა უკავშირდება მონაცემთა შეგროვებას და, შესაბამისად, ეკონომიკაზე CCI-ს რეალური გავლენის აშკარა მტკიცებულების ნაკლებობას, რაც თავის მხრივ ზღუდავს ფინანსური მხარდამჭერების შესაძლებლობას ამოიციონ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სრული პოტენციალი.

ევროპაში კულტურულ და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში პირდაპირ თუ ირიბად დასაქმებულია 7 მილიონ ადამიანზე მეტი - ევროკავშირის აქტიური მოსახლეობის 3.3%. ევროპის კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების უმსხვილეს დამსაქმებლებს შორის არის სახვითი ხელოვნება, სასცენო ხელოვნება და მუსიკალური ინდუსტრია. ისინი შემდეგნაირად ნაწილდება : სასცენო ხელოვნება - 1,234,500; სახვითი ხელოვნება - 1,231,500 მუსიკა - 1,168,000; რეკლამა - 818,000; წიგნები - 646,000; კინო - 641,000;

შემოქმედებითი ეკონომიკადარგობრივად აერთიანებს კულტურის თითქმის ყველა ტრადიციულად მიღებულ დარგს, იმ განსხვავებით, რომ ეს დარგი განიხილება როგორც ინდუსტრია, ანუ ეკონომიკური პროდუქტი.

შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების სფეროები და დარგები აღიარებული UNCTAD (გაეროს ვაჭრობისა და განვითარების სამსახურის) მიერ არის: მემკვიდრეობა (ტრადიციული კულტურა, არამატერიალური კულტურა, ტრადიციული რეწვა, წესჩვეულებები, დღესასწაულები, ფესტივალები ა.შ.); მატერიალური კულტურა - უძრავი: ისტორიული ღირშესანიშნავი ადგილები/მონუმენტები. მატერიალური კულტურა - მოძრავი: მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები ა.შ.; ხელოვნება (სახვითი ხელოვნება, მხატვრობა, ქანდაკება, ფოტოგრაფია, ა.შ.) საშემსრულებლო ხელოვნება (მუსიკა, თეატრი, ოპერა, ა.შ.)

მედია: გამომცემლობა და ბეჭდვა, წიგნები, ჟურნალ გაზეთები, აუდიო ვიზუალური ხელოვნება, კინემატოგრაფია, ტელე, რადიო მაუწყებლობა, ახალი/უახლესი ტექნოლოგიები, დიგიტალიზაცია, პროგრამული უზრუნველყოფა, (software,) ვიდეოთამაშები, ანიმაცია, ა.შ.

ფუნქციონალური /უტილიტარული შემოქმედება: დიზაინი, ინტერიერი, მოდა, სათამაშოები, გამოყენებითი აქსესუარები, გრაფიკული, ა.შ.

შემოქმედებითი სერვისები: არქიტექტურა, რეკლამა, შემოქმედებითი R&D (კვლევა & დეველოპმენტი), კულტურული სერვისები, ციფრული (digital) სერვისები, ა.შ.

რაც შეეხება კულტურის გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე, რამდენიმე საკითხი სერიოზულ კვლევას საჭიროებს. პირველი მათგანია კულტურული ინდუსტრიების და შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარებისთვის სამართლებრივი პირობების შექმნა. შემდეგი საკითხია კულტურის წვლილი ტურიზმში როგორც შემოქმედებითი ინდუსტრიის ნაწილის.

ძალიან დიდი გავლენა აქვს კულტურას რეგიონალურ და ურბანულ განვითარებაზე. თუმცა შემოქმედებითი/კულტურული ინდუსტრიები როგორც ურბანული განვითარების ფაქტორი ღრმად საკვლევი საკითხია და აუცილებელია რომ იგი დანერგილი იყოს სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში.

ცალკე ხაზგასასმელი პრობლემაა ის რომ კულტურის განვითარების მაჩვენებლები რომლებიც ასახავს მონაცემებს საქართველოს შესახებ 2016 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე ძალიან მძიმეა.

თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი, არის ის ფაქტი რომ კულტურის პოლიტიკა 20-25 ფარგლებში, ცალკე მიმართულებებად არის აღნიშნული შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები. რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია და ვიმედოვნებთ კონკრეტულ შედეგებსაც მოიტანს სამომავლოდ.